ა(ა)იპ „ზურმუხტი“
საქართველო. ქ.საჩხერე .
თავისუფლების ქ № 3
ტელ: 598 61 61 49

N(N)LE „Zurmukhti”
Georgia. Sachkhere .
Tavisuplebastr.№ 3
T: 598 61 61 49

ბრძანება №88

02 დეკემბერი 2024 წელი

ა(ა)იპ „ზურმუხტი“-ს სარგებლობაში არსებული ქონების ელექტრონულ აუქციონზე სასყიდლიანი იჯარის ფორმით გაცემის შესახებ

„ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის (მოვალეობის შემსრულებელი) 2024 წლის 25 ნოემბრის წერილი ნომრით 70.702433061 ა(ა)იპ „ზურმუხტის” სარგებლობაში არსებული ქონების ელექტრონულ აუქციონზე სასყიდლიანი იჯარის ფორმით გაცემის შესახებ” საფუძველზე ვბრძანებ:

1. გაიცეს ა(ა)იპ „ზურმუხტის” სარგებლობაში არსებული, ქ.საჩხერეში სანაპიროს ქუჩაზე მდებარე, N35.02.54.693 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული სარგებლობაში არსებული ნაგებობა N3; N4; N5; N6 და N7 (დროებითი ნაგებობა-ატრაქციონები) განმეორებით (ჩაშლილი) ელექტრონულ აუქციონზე, სასყიდლიანი იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით.
2. უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემისას საწყისი წლიური საფასური სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე შემცირდეს 50%_ით და განისაზღვროს 7095.00 ლარით „ბე“ და „ბიჯი“ საწყისი საფასურის 10-10 პროცენტი.
3. ელ. აუქციონის დაწყების დრო 2024 წლის 05 დეკემბერი 12:00 საათი და დასრულების დრო 2024 წლის 12 დეკემბერი 12:00 საათი.
4. ბრძანება გადაეგზავნოს ა(ა)იპ „ზურმუხტის“ შესყიდვების განყოფილებას.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი:ქ.საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქუჩა N3).

ა(ა) იპ „ზურმუხტი“-ს
დირექტორი : /ზურაბი მეცხვარიშვილი

ა(ა)იპ „ზურმუხტი“ * NNLE „ZURMUKHTI“ * 439394585